„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის სიახლენი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ოქტომბერი. 2023 * (8)91

ტრადიციული ,,პოეზიის სახალხო დღესასწაული - შოთაობა-2023''

ღონისძიების დასაწყისში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელმა პირებმა, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, დაბის ცენტრში, სამკუთხა პარკში და სოფელ რუსთავში შოთა რუსთაველის ძეგლები გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს.

დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა მეუფე თეოდორემ, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ.

,,შოთაობა-2023'' დღესასწაულზე ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა, სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ,,საპატიო ასპინძელის'' წოდებით დააჯილდოვეს სსიპ ასპინძის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსი ტრისტან მურადაშვილი, დაბაში მცხოვრები ღვაწლმოსილი პედაგოგი ლარისა მელიქიძე და სოფელ დამალის მკვიდრი, ექიმი აკოფ აკოფიანი.

ღონისძიების პარალელურად გაიმართა ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, სპორტული შეჯიბრება მკლავჭიდში, ჭიდაობასა და საჯილდაო ქვის აზიდვაში.

სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულებს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და სიგელები.

დღესასწაულზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ მუნიციპალიტეტში 2023 წლის ბოლო პერიოდში ახალდაქორწინებული წყვილები ტრადიციულად ,,ვეფხისტყაოსანით'' დაასაჩუქრა.

პოეზიის სახალხო დღეასაწაულზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პირველი პრემია (1500 ლარი) გაადეცა ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულ პოეტ მაია მინდელი-ბენაშვილს.

მწერალთა კავშირის წევრებმა და სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა პოეტებმა საკუთარი შემოქმედებით კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი პოეზიის უდიდეს გენიას შოთა რუსთაველს.

ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე მობრძანებულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხური რეწვის ოსტატთა, მხატვრებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ნამუშევრების გამოფენას, ასევე ეთნოგრაფიული კუთხისა და სახალხო დღესასწაულისთვის სპეციალურად მოწყობილ ფაცხებში გაცნობოდნენ ადგილობრივ სამზარეულოსა და მესხურ ტრადიციებს.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი ჯგუფები და მოწვეული ანსამბლი ,,შარა.''

„პოეზიის სახალხო დღესასწაული – შოთაობა'' ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ყოველწლიურად აღინიშნება.

მუნიციპალიტეტის საჯიებულოში

გაიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ასპინძის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების შემოღების, მინიჭების წესის, „საპატიო ასპინძელის“ მოწმობის ფორმის და „საპატიო ასპინძელის“ მედლის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დეპუტატებმა საკითხი ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჯვარიძემ დეპუტატებს მიაწოდა ინფორმაცია:

1.ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 7 სექტემბრის N120.120232509 ბრძანება შემოსავლების გაზარდის შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბესიკ ბერიძე.

მაკა ბერიძე

ჩემო ძვირფასო
მასწავლებლებო და მოსწავლეებო!



გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

განსაკუთრებით მინდა სასწავლო წელი მივულოცო პირველკლასელებს, რომელთა ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება.

მინდა თითოეულ თქვენგანს წარმატებები ვუსურვო.

გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი და საშშობლოს ყველაზე მეტად თქვენი განათლება წაადგება.

მოსწავლეებთან ერთად ახალი სასწავლო წლის დაწყება განსაკუთრებულია მასწავლებლებისათვის. თითოეულ მათგანს მინდა მივილოცო და წარმატებული სასწავლო წელი ვუსურვო. თქვენ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი გაკისრიათ განათლებული მომავალი თაობების აღზრდის საქმეში.

როსტომ მაგრაქველიძე,
ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი

სოფელ ძველში ბაგა-ბაღი გაიხსნა

23 სექტემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველში საზეიმო ვითარებაში თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი საბავშვო ბაღი ახალციხის, ადიგენის, ბორჯომისა და ასპინძის მაჟორიტარმა დეპუტატმა ანტონ ობოლაშვილმა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ გახსნეს.

სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობას აწარმოებდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია ,,XXI საუკუნე", რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 718 321 ლარს.

პროექტის ფარგლებში აშენდა 1 567 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სტანდარტების შესაბამისი ადაპტირებული ახალი ორსართულიანი საბავშვო ბაღი, რომელიც გათვლილია სამოც აღსაზრდელზე და დაკომპლექტდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 16 ადგილობრივი პერსონალით.

პროექტის ფარგლებში მოეწყო ბავშვთა სათამაშო, საძინებელი ოთახები, სველი წერტილები, საკონცერტო დარბაზი, პერსონალის და ექიმის ოთახი, პროდუქტების საცავი ტემპერატურული კონტროლით; შენობის ფართი 290,5 კვ.მეტრია, სამშენებლო მოცულობა – 1 803 კბ. მეტრი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველის ახალაშენებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობით ისარგებლებენ როგორც ადგილობრივი, ასევე სოფლების: საყუდაბლის, ორგორის და ჭობარეთის აღსაზრდელები, რომელთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.

საბავშვო ბაღის გახსნას მოსახლეობასთან ერთად სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მეტი ყურადღება!

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთ პრიორიტეტად უკანასკნელ წლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები იქცა, ამიტომაცაა, რომ ყოველწლიურად ამ სფეროს განვითარებისათვის ბიუჯეტიდან სოლიდური თანხები გამოიყოფა და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენს პატარებს ყველა პირობა ჰქონდეთ ნორმალური აღზრდისათვის. სწორედ ამიტომ ახლახან დაიწყო და სულ მალე დამთავრდება დაბის ორივე საბავშვო ბაღის ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,ალმე" ასრულებს და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 412 998 ლარს შეადგენს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყობა კაუჩუკის მოედნები, გაფართოვდება სათამაშო სივრცე, დაიდგმება ატრაქციონები, სკამები და ურნები. განახლდება ღობე, სავალ ნაწილზე დაიგება ფილები.

პროექტის დასრულების შემდეგ ახალ სასწავლო წელს აღსაზრდელები კეთილმოწყობილ და განახლებულ გარემოში დაიწყებენ.

დასრულდა პირველი ეტაპის სამუშაოები

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველმა იცის, მიმდინარე წელს ინტენსიურად დაიწყო სოფელ ოშორის შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სულ ახლახან დასრულდა პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პირველი ეტაპი, კერძოდ, მოეწყო მონოლითური რკინა/ბეტონის საყრდენი კედელი და გაბიონები.

სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს „არალმა" შეასრულა და მისი სახელშეკრულებო ღირებულებამ 466 316 ლარი შეადგინდა.

აღსაზრდელთა წარმატება აღმზრდელის გამარჯვება!

ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში ყოველთვის დიდი ყურადღება ექცევა ქორეოგრაფიის განვითარებას, რამეთუ უცხოეთში ქართული კულტურის პროპაგანდის ერთ-ერთი დესპანის ფუნქციას ქართული ცეკვა ასრულებს.

ქართული ცეცხლოვანი ცეკვებით შემოიარა მთელი მსოფლიო ბევრმა აღიარებულმა ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა და ამ მიმართებით მსოფლიო აღიარება მოუტანა საქართველოს.

კულტურა განსაზღვრავს ერის თვითმყოფადობას, მის ადგილს მსოფლიო ცივილიზაციაში.

სწორედ ამიტომაა, რომ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს. ეს ერთნაირად ეხება როგორც დედაქალაქს, ასევე რეგიონებსაც. მათ შორის არ შეიძლება ამ დიდი კულტურის ჩარჩოებში არ მოვიაზროთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიც.

ყოველივე ამის საილუსტრაციოდ მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ ასპინძის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სამცხეზე" (ხელმძღვანელი ჯაბა ასპანიძე).

ანსამბლი „სამცხე" 2007 წელს ჩამოყალიბდა და, უნდა ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე მან არაერთ დიდ წარმატებას მიაღწია. ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლში ძირითადად გაერთიანებულია როგორც დაბის, ასევე მუნიციპალიტეტის ხუთი სოფლის I-XII კლასის მოსწავლეები, რომლებიც ცეკვის ხელოვნებას ეუფლებიან როგორც დაბაში, ასევე სოფლის სკოლებშიც. ამჟამად ანსამბლში გაერთიანებულია 75 მოსწავლე, ხოლო მთლიანობაში, არსებობის დღიდან, ანსამბლის „მასტერ-კლასი" 1000-ზე მეტმა მოსწავლემ გაიარა.

საგულისხმოა, რომ მიზანმიმართული მუშაობის შედეგად ხელხვავიანი გამოდგა ანსამბლ „სამცხის" გამოსვლები რესპუბლიკურ ფესტივალებსა თუ სხვადასხვა მასშტაბურ ღონისძიებებზე.

ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ანსამბლი ყოველწლიურად უფრო იხვეწება და აკადემიურ დონეს აღწევს. ალბათ, რომ არა მათი დაუღალავი, მიზანსწრაფული მუშაობა, წარმატებებიც შეუძლებელი იქნებოდა.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე ანსამბლმა „სამცხემ" დამსახურებული აღიარება მოიპოვა, რაზეც მეტყველებს მათი ამის დამადასტურებელი სერტიფიკატები, დიპლომები თუ მოწმობები, რაც ამ ანსამბლმა მოიპოვა სხვადასხვა ეროვნულ ფესტივალებში მონაწილეობის დროს. მათ შორის უნდა აღინიშნოს ბაკურიანში („ზამთრის ფესტივალი"), მესტიაში („მშვიდობა ბავშვებს") გამართულ ფოლკლორულ ფესტივალში, ქ. თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ბავშვთა დღესთან დაკავშირებით მოპოვებული პირველი ხარისხის და ლაურეატობის წოდების მოპოვება; „ივერიონის და ქართული ცეკვის ჯგუფის „GDC"-ის მიერ ფრიდონ სულაბერიძის კონსულტანტობით გამართულ რესპუბლიკურ ფესტივალში „საუკეთესო ანსამბლის წოდების" მინიჭება, გარდა ამისა „სამცხემ" ქართული ხალხური ფესტივალის „ა-გოდელა და აგუნას" ფესტივალის ლაურეატიც გახდა და ამ ანსამბლის დიდი მემკვიდრეობა 25 პირველი ხარისხის დიპლომითა და ლაურეატის წოდებებით გამდიდრდა.

ცოტა ხნის წინ კი ანსამბლმა „სამცხემ" საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც ბულგარეთის რესპუბლიკაში გაიმართა, კიდევ ერთი დიდი აღიარება მოიპოვა _ იგი ბულგარეთის რესპუბლიკაში გამართულ ამ ფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა. ეს წარმატება

კი ასპინძის მუნიციპალიტეტის აღიარებაა ქართული კულტურის განვითარების საქმეში და გვჯერა ანალოგიური წარმატებებით კიდევ მრავალჯერ გაგვახარებს ანსამბლი იგი, რომლის წარმატების სულისჩამდგმელი, ახალგაზრდა ქორეოგრაფი ჯაბა ასპანიძეა და გვჯერა ეს ასეც იქნება.

ამ სასიხარულო ამბის გაგების შემდეგ შევხვდით ბატონ ჯაბას და ვთხოვეთ ორიოდე სიტყვა ეთქვა აღნიშნულ ფესტივალთან დაკავშირებით:

„მიმდინარე წლის 23-27 აგვისტოს ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ნესებარში (ქალაქის მერიის, ბავშვთა საერთაშორისო ასოციაცია „ფოლკლორული ფორმაცია „ფონტანის" და „ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის" თანამშრომლობით) ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი „რავდა", სადაც მიწვეული იქნა ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ასპინძის მუნიციპალიტეტში არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამცხე".

ანსამბლი საქართველოდან 20 აგვისტოს გავიდა და 29 აგვისტოს გამარჯვებული გრან-პრით დაბრუნდა. ფესტივალ-კონკურსში მონაწილეობას ღებულობდა არა ერთი ძლიერი და გამოცდილი ანსამბლი როგორც საქართველოდან, ასევე ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან, ჩეხეთიდან, სლოვენიიდან, იტალიიდან, უნგრეთიდან, მოლდოვადან და ა.შ.

ეს ჩვენი პირველი გასვლა იყო საერთაშორისო ღონისძიებაზე და, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობის წინაშეც ვიდექით, თუმცა მაინც გვჯეროდა, რომ ჩვენი დაუღალავი შრომა უკვალოდ არ ჩაივლიდა და, როგორც ვხედავთ, შედეგიც სახეზეა. პირველ რიგში უნდა აღინიშნულს _ რომ არა ის დიდი მხარდაჭერა რაც საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბატონმა ანტონ ობოლაშვილმა** *გამოიჩინა ჩვენ მიმართ, არც ეს წარმატება იქნებოდა. ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მინდა ანსამბლის თითოეული წევრის, მათი მშობლების და გულშემატკივრების სახელით უღრმესი მადლობა გადავუხადო ბატონ ანტონს, რომელმაც მთლიანად უზრუნველყო ანსამბლის 25-ვე მონაწილის სატრანსპორტო ხარჯი, ოპერატიულად მოაგვარა სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხი, რაც ჩვენი წარმატების საწინდარი გახდა. ჩვენის მხრივ კი, ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ნდობა გაგვემართლებინა.*

ასევე მადლობა გვინდა გადავუხადოთ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიას და პირადად ბატონ **როსტომ მაგრაქველიძეს** *იმ თანადგომისათვის, რომელსაც იგი ჩვენ მიმართ იჩენს.*

ანსამბლი წასვლის წინა დღეს, ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულზე, ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარმა **მამა ზაქარიამ (გვარამაძე)** *დალოცა, მისი ლოცვა-კურთხევით კი ანსამბლმა მშვიდობით და წარმატებით მოიარა ბულგარეთი".*

ავთანდილ ბერიძე

ინტერვიუ

ვარძია საერთაშორისო ყურადღებას იქცევს

*ვარძია მთელი ქართველი ერის სიამაყე და ჩვენი გმირული ისტორიის მემატიანეა. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, მის მიმართ ყურადღება არა თუ განელდება, არამედ კიდევ უფრო გაიზრდება და, რაც მთავარია, უცხოელთა განსაკუთრებული ყურადღების არეალშიც მოექცევა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო ათწლეულია, იუნესკოს ეგიდით, ვარძიას ევროპის არაერთი ცნობილი მეცნიერი, არქეოლოგი, მკვლევარი სტუმრობს. არც ეს წელი ყოფილა გამონაკლისი. ახლახან ვარძიას ეწვია იუნესკოს კათედრის ხელმძღვანელი ბატონი **კლაუდიო მარგოტინი.** მის აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ ვარძიის ძეგლ-ნაკრძალის დირექტორს **ილია თედორაძეს.***





– ბატონო ილია, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ახლახან ვარძიაში იმყოფებოდა ბატონი კლაუდიო მარგოტინი. რას გვეტყვით ამ ვიზიტთან დაკავშირებით?

– მივესალმები თქვენი გაზეთის თითოეულ მკითხველს, თქვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგიას, ვარძიის მიმართ გამოჩენილი ესოდენ დიდი ყურადღებისათვის. მინდა გაუწყოთ, რომ ახლახან მართლაც მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრა გვქონდა ვარძიაში. ძეგლ-ნაკრძალს ესტუმრა სოლიდური დელეგაცია, კერძოდ:

როგორც ბრძანეთ, იუნესკოს კათედრის ხელმძღვანელი, ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორი, **კლაუდიო მარგოტინი,** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ბატონი **ნიკოლოზ აზნაურაშვილი,** არქიტექტორ-რესტავრატორი ბატონი **ნიკოლოზ ზაზუნიშვილი** და გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბატონი **ნოდარ ფოფორაძე.**

მათი ვიზიტი ორ დღეს გაგრძელდა. სტუმრებმა დაათვალიერეს არა მხოლოდ ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალი, არამედ ვანის ქვაბების კომპლექსიც.

–მათი ვიზიტი ვარძიაში ალბათ მნიშვნელოვან პროექტებთან არის დაკავშირებული. იქნებ ჩვენი გაზეთის მკითხველებს ორიოდე სიტყვით უთხრათ – რისი გაკეთება იგეგმება მომავალში?

– როგორც თქვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, ბატონი კლაუდიოს რეკომენდაციის საფუძველზე მიმდინარე წელს დასრულდა 10 კრიტიკული უბნის გამაგრება ანკერირების მეთოდით. გარდა ამისა მიმდინარე წელს ასევე დასრულდება (უკვე მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები) 800 მეტრ/კვადრატზე ქვათაცვენის საწინააღმდეგო ბადის მონტაჟი.

რაც შეეხება მომდევნო სამუშაოების წარმოებას, ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ უახლოეს მომავალში, აღნიშნული ჯგუფის მიერ გაიწერება სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო დაგეგმავს და მომდევნო წლიდან უზრუნველყოფს მათი რეკომენდაციების და გრაფიკის დაცვით ორივე ძეგლზე საკონსერვაციო სამუშაოებს.

–იმედია ვარძია კიდევ არაერთხელ მოექცევა საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ქვეშ და ყველაფერი გაკეთდება მისი სარეაბილიტაციო-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებისათვის.

გმადლობთ, ბატონო ილია, საინტერესო ინფორნაციის მოწოდებისათვის.

ესაუბრა
ავთანდილ ბერიძე

ეპიდემია და ყანისის ამბავი

*„ყანისის ამბავი“ ჩავიწერე დაბა ასპინძაში მცხოვრები, სოფელ ერკოტაში დაბადებული, 75 წლის **შოთა ერასტის ძე ბერიძისაგან** 2022 წლის 29 ოქტომბერს, მან მითხრა, რომ ძველი ამბები მას უამბეს, ერკოტაში ცხოვრების პერიოდში, სოფლის უხუცესებმა, კერძოდ, მისმა მამამ – **ერასტი ბესარიონის ძე ბერიძემ,** თანასოფლელებმა – **ლევან სანდრეს ძე ბერიძემ, ვასილ ხატიძემ, სიმონ ბერიძემ** და სხვებმა.*

ეს ამბავი მოხდა დაახლოებით 1924-1930 წლებში, მაშინ საბჭოთა წყობილება ახალი დამყარებული იყო საქართველოში, მართალია საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი პირობითად განსაზღვრული იყო, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საზღვარი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გავლებული და მესაზღვრეები მხოლოდ კონკრეტულ ადგილებზე იყვნენ განლაგებულნი. ამიტომ თურქეთში გადასვლა-გადმოსვლა თავისუფალი იყო, რაც ქვეყანას დიდ პრობლემებს უქმნიდა. მიუხედავად უშიშროებისა და მილიციის აქტიური მუშაობისა, მაინც ხშირი იყო ყაჩაღობის ფაქტები, ქართველებსა და თურქებს შორის სისხლიანი დაპირისპირებები. ეს ამბავიც სწორედ იმ დროს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მოხდა.

სოფელ ერკოტასთან ახლოს ერთი დაბურული ტყეა, რომელზეც გადიოდა საურმე გზა ახალციხის მიმართულებით. აღნიშნული გზით სარგებლობდნენ ვანის ზონისა და ნიალის ყურის 25 სოფლის მოსახლეობა და თურქეთიდან ნიალის გავლით ახალციხეში მიმავალი ადამიანები, ასევე ერკოტის, დადეშისა და მათ მიმდებარედ არსებული სოფლების მოსახლეობა. აღნიშნულ ტყეში ჩამოედინებოდა პატარა მდინარე, რომელსაც თათრები „ყანისის“ (სისხლიანი) ხევს უწოდებდნენ, ხოლო ქართველები – „ორთახევს“, ამ ხევში ბუდობდნენ ყაჩაღები, რომლებიც ატყვევებდნენ ახალციხისაკენ ან, პირიქით, ახალციხის მხრიდან მომავალ ადამიანებს, ძარცვავდნენ, ხდიდნენ ტანსაცმელს და დაღამების შემდეგ ათავისუფლებდნენ. ამის გამო ამ გზაზე გავლა დიდ საშიშროებას წარმოადგენდა, რადგან ყაჩაღებისთვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში თითოეულს დაღუპვა ელოდებოდა.

სოფელი ერკოტაც ყაჩაღებისაგან ძალიან იყო შეწუხებული, რადგან ყანისის ხევი ძალიან ახლოს იყო ამ სოფელთან. ყაჩაღები ძირითადად ასპინძის რაიონის სოფელ ყამზის გათათრებული ქართველები იყვნენ, თუმცა მათ გვერდით სხვებიც მრავლად იყვნენ.

იმ დღეს სოფელ ერკოტაში მარცვლეულის ყანების მკა იყო გაჩაღებული, მთელი სოფელი ყანებსა და კალოებზე მოფენილიყო, საღამოს კი სოფელში ქორწილი უნდა ჩატარებულიყო, რისთვისაც მუსიკოსების დასაძახებლად სოფელ ზველში ყანისის გზით გააგზავნეს ერკოტელი ანდრო ბერიძე, რომელიც გადავიდა ზველში, შეუთანხმდა მუსიკოსებს და მაშინვე იმავე გზით უკან დაბრუნდა. ყანისის ხევს რომ მიუახლოვდა, იგი ყაჩაღებმა შეიპყრეს, გახადეს ტანსაცმელი და უღრან ტყეში ხელებშეკრული სხვა დატყვევებულებთან ერთად დასვეს. მას იქ ერკოტელი ყარათლიენთ ელგუჯას მამაც ხელებშეკრული დახვდა, ყაჩაღებმა განუცხადეს, – ჩუმად ყოფილიყვნენ და საღამოთი როცა წავიდოდნენ ნაძარცვით, მაშინ გაუშვებდნენ დატყვევებულებს. ყაჩაღებმა დატყვევებულების საყარაულოდ ერთი ყაჩაღი დატოვეს, თავად საყაჩაღოდ ხელმეორედ წავიდნენ და ისევ იმავე ადგილზე ჩასაფრდნენ. გავიდა ცოტა ხანი და ანდრო ბერიძემ სთხოვა ყარაულად დარჩენილ ყაჩაღს, ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უფლება მიეცა ცოტა მოშორებით გასულიყო. ყარაული დათანხმდა. ანდრო ბერიძემ დრო იხელთა და ერკოტისკენ გაიქცა. სოფელს რომ მიუახლოვდა, დაიძახა: – ხალხო, ყანისის ხევში ყაჩაღები არიან, ხალხი დატყვებული ყავთ და მივეშველოთო!

ერკოტის მოსახლეობა იმდენად იყო ყაჩაღებისაგან შეწუხებული, რომ მიატოვეს მკა და ვისაც სახლში რაიმე იარაღი ჰქონდათ, იმით შეიარაღდნენ და ყველა ყანისის ხევისკენ წავიდა. გზაში მოითათბირეს და ოთხი კაცი ერკოტის ტბასთან ჩაასაფრეს, რადგან იცოდნენ, რომ ყაჩაღები ხევს აჰვებოდნენ და ტბასთან უნდა გამოსულიყვნენ. ხევის დასაწყისში, კლდეებთან, დღესაც დგას ფიჭვის ორი ხე და იმ ხეებთან კლდეში ჩასაფრდა ეს ოთხი ერკოტელი, დანარჩენები ყაჩაღების ადგილ-სამყოფელს სამი მხრიდან მიუახლოვდნენ. ყაჩაღებმა, როგორც კი გაიგეს ხალხის მიახლოების ამბავი, სროლა აუტეხეს და ერთი ერკოტელი – 19 წლის ბიჭი, მგონი აზანას ძმა თუ ბიძა, მოკლეს, რამაც ხალხი კიდევ უფრო გაამწარა და ყაჩაღებს გამძაფრებით შეუტიეს – მათაც ერთი თათარი მოკლეს, ხოლო სანდრო ბერიძემ ცულით ერთი ყაჩაღი აჩეხა, თანაც გაცეცხლებულმა მიაძახა: – შენ არ იყავი, ცხენი რომ წამართვიო? ბოლოს ყაჩაღებმა თავს მაინც უშველეს და ყანისის ხევს აჰყვნენ, თუმცა ისინი იქ ჩასაფრებულების თვალსაწიერში მაინც მოყვნენ. ერკოტელ ჩასაფრებულთაგან ერთი (ფაჩა ვასოს მამა) სიმონ ბერიძე, ნიკოლოზის ჯარში სნაიპერი ყოფილა და თათრები მიზანში ამოიღო და ერთი თათარი ყაჩაღი მოკლა, სიმონ ბიძაი იტყოდა, რომ კიდევ ერთი თათარი ბუჩქებში მიძვრებოდა და გაპარვას ლამობდა, შემთხვევით შევამჩნიე და ვესროლეო. ტყვია მოხვდა თუ არა, მაღლა ახტა, ერთი დაიგმინა, მოწყვეტით ძირს დაეცა და იმ წამსვე სულიც განუტევაო. რამდენიმე თათარი სროლის დროს დაიჭრა, მაგრამ გაქცევა მაინც მოახერხეს და ტყეს შეაფარეს თავი ისე, რომ მათ ასავალ-დასავალს ვეღარავინ მიაგნო.

ერკოტელებმა შეაგროვეს დახოცილი ოთხივე ყაჩაღის გვამი და ერთ ადგილას დამარხეს, ხოლო იმ ადგილს, სადაც ერკოტელები იყვნენ ჩასაფრებულები, ყანისის ხევის თავში, „საყარაულო“ დაერქვა და დღესაც ასე ჰქვია, დაღუპული 19 წლის ერკოტელი ბიჭი კი სოფელში მიუსვენებიათ. იმ ღამეს ქორწილი აღარ გამართულა.

ჩაიწერა **გიორგი ჯვარიძემ**

რეპლიკა

ასპინძა ყველას საზხუნავია!

ძვირფასო ასპინძელებო,

ახალგაზრდებს არა, მაგრამ ხანშიშესულ ასპინძელებს კარგად ემახსოვრებათ თუ რას წარმოადგენდა ასპინძა ამ რამდენიმე ათეული წლის წინ. დაბაში მხოლოდ 3-4 ქუჩა თუ იყო მოასფალტებული, უამინდობაში დანარჩენ ყველა ქუჩაზე შეუძლებელი იყო არა თუ გავლა, ავტომანქანებით გადაადგილებაც კი. მერე და მერე, ნელ-ნელა, ყველაფერი შეიცვალა. ამჟამად თითქმის არცერთი ქუჩა არაა კეთილმოუწყობელი, მხოლოდ რამდენიმე ჩიხია დარჩენილი და, ალბათ, იმედია, ცოტა ხანში, ეს საკითხიც მოგვარდება.

მიმდინარე წელს დაბა კიდევ უფრო გალამაზდა, – ასპინძელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს – რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო, თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი კულტურისა და დასვენების პარკი გადაეცათ საექსპლოატაციოდ. სხვა მრავალ პროექტთან ერთად დაიწყო და სრული რეაბილიტაცია უტარდება ერეკლე მეორის ქუჩას, რომელიც ერთ-ერთი ძვირადღირებული სამშენებლო ობიექტია და იგი, ალბათ, სავიზიტო ბარათი გახდება ასპინძელებისთვის. ამასთან უნდა ითქვას, რომ სხვა ბევრი სასიკეთო ნაბიჯები იდგმება იმისათვის, რომ ასპინძა ერთ-ერთ საუკეთესო დაბად იქცეს.

მაგრამ, ძვირფასო ასპინძელებო, ერთია რა კეთდება და მეორეა – როგორ ვუვლით მას! ამიტომ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება:

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ უკანასკნელ წლებში ასპინძისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა, დროის ყველა მონაკვეთში თვალშისაცემია ვიზიტორთა რაოდენობა, – ტურისტთა თუ ექსკურსანტთა სიმრავლე არ აკლია ვარძიას, ხერთვისს, თმოგვს და, ცხადია, აქედან გამომდინარე, ასპინძაშიც ხშირად შეიმჩნევა ვიზიტორთა სიმრავლე. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ფონზე სტუმრისთვის ყოველთვის თვალშისაცემია თითოეული ანტისანიტარიული კერა. ვიზიტორები ხშირად გვხვდებიან ახალრეაბილიტირებულ პარკებშიც, მარკეტებშიც, დაბის ცენტრალურ ადგილებშიც და იმის მიუხედავად, რომ არცერთი წუთით არ აკლია მოვლა და პატრონობა ქუჩებსა თუ პარკებს, ზოგიერთი უპასუხიმგებლო ჩვენი თანამემამულე, შეგნებულად მაინც აბინძურებს საყოფაცხოვრებო თუ მზესუმზირის ნარჩენებით აღნიშნულ ადგილებს, ეს მაშინ, როცა თითოეულ ნაბიჯზე განთავსებულია ბუნკერი თუ სანაგვე ყუთი. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც ნაგვის ბუნკერების სიახლოვეს, ორიოდე ნაბიჯზე, გვხვდება საოჯახო ნარჩენებით სავსე ცელოფნები (და არც თუ ისე ცოტა), რომლებიც მაწანწალა ძაღლების „საასპარეზო“ ხდება.

არც ისაა დასამალი, რომ მავანი და მავანი შეგნებულად აზიანებს სახელმწიფო ქონებას და აინუნშიაც არ აგდებს მოქალქეთა შენიშვნებს. ჩვენი დაბა ჩვენი სახლია, ჩვენი საცხოვრისია და გაფრთხილება ჭირდება თითოეული ასპინძელისაგან. სხვა რა უნდა ვუწოდოთ სულ ახლახან ე.წ. სამკუთხა პარკში ჩადენილ ვანდალურ აქტსაც, სპეციალურად, დიდი ძალის გამოყენებით რომ მოუმტვრევიათ დეკორატიული სკამისათვის სახელური. ე.წ. ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ, მოსასვენებელი ფარდულის შიგნით კი ცოტა ხნის წინ დააზიანეს ბაზალტის ქვით მოპირკეთებული კედლის ზედაპირი, სკამები, კიბის განათების კაბელი.

ინსტიქტურად არავინ ჩადის დანაშაულს, გამიზნულად გადადგმული თითოეული ნაბიჯი კი საზოგადოების შეურაცხყოფაც არის და უპატივცემლობაც!

ავთანდილ ბერიძე

მატიანე

ასპინძის საშუალო სკოლის მოსწავლეები. 1963 წელი

პირველად ტოლოშში

როგორც მთელ მუნიციპალიტეტში, ასევე სოფელ ტოლოშშიც ბევრი სასიკეთო საქმე კეთდება მოსახლეობისათვის ნორმალური დასვენებისა თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ამის სანიმუშო მაგალითია ის, რომ ახლახან დაიწყო სოფლის ცენტრში სპორტული მოედნის მშენებლობა, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ღია სპორტული მოედანი მოეწყობა, რომელიც განსაზღვრულია როგორც ფეხბურთის, ასევე კალათბურთის სათამაშოდ და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ტოლოშში სპორტული მოედანი აქამდე არ ჰქონიათ.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნიუ პროჯექტი“ აწარმოებს და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 116 111 ლარს შეადგენს.

ხერთვისი იცვლის იერსახეს

ისტორიული სოფელი ხერთვისი თავისი უნიკალური ხერთვისის ციხით ყოველთვის წარმოადგენს ექსკურსანტებისა თუ ტურისტებისათვის მნიშვნელოვან ობიექტს, ვარძია-თმოგვისაკენ თუ ახალქალაქისაკენ მიმავალ ნებისმიერ მგზავრს კი იზიდავს მისი განუმეორებელი სილამაზე. ნიშანდობლივია, რომ ბოლო პერიოდში არც ხელისუფლებისა და არც ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან არ აკლია მას ყურადღება. სოფლის განვითარება-აღორძინება კი საშური საქმეა, რამეთუ აქ ყოველწლიურად იზრდება ვიზიტორთა რაოდენობა და იგი მეტ მზრუნველობასა და ყურადღებას საჭიროებს. ამის შედეგია ისიც, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ახლახან სოფლის ცენტრში, ცენტრალური გზის ნაპირზე, დასრულდა სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში მოეწყო დეკორატიული ღობე, საჩრდილობელი, წყარო, საფეხმავლო ბილიკები, გარე განათება, გამწვანება და განთავსდა სკამები.

სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებამ 53 533 ლარი შეადგინა.

ფოლკლორი

***

ოხროხინა დევი ფშვინავს, მასპინძელი თვალებს ჭიმავს.

(ტიკჭორა)

***

კლდეში ვზივარ, ვიქნევ ხელსა,
გამწი მამი შენსა მზესა.

(საჩეჩელი)

***

ფანჯრიდან მინა ჩავარდა, არც გატყდა, არც დაიბზარა.

(მზე)

***

კიჭილა კარი გააღე, ზურგულას ბარგი მოაქვსო.

(პირი)

***

ჭრიალა და თვალებიანი, შიგ აბია რქებიანი.

(უღელი)

***

თავი არა აქვს, ტანი არა აქვს, მაგრამ ყველას ამხიარულებს.

(პირი)

***

ყველაზე სწრაფი მხატვარი.

(ყინვა)

***

სამუშაოს როცა ვიწყებ, მაშინ ავჭიკჭიკდები, სუყველაზე უფრო მეტად თერძს და დალაქს ვჭირდები.

(მაკრატელი)

***

ღერძი ხორცისა, ბორბალი ოქროსი.

(ბეჭედი)

***

ყურიანია, თავიანია, თავზე ახურავს მურიანია.

(ბუხარი)

***

მდიდარი არის კბილებით, სწრაფად ღრღნის, წვრილათ ფქვავს, მაგრამ თითონ არ ყლაპავს, შენ ხომ ნახული გაქვს.

(ხერხი)

***

ახლოს ვართ ერთმანეთისგან, მაგრამ შორი გვაქვს სავალი, რამდენიც უნდა ვიაროთ, ჩვენ ერთმანეთს ვერ შევხვდებით.

(მზე და მთვარე)

***

ერთი პატარძალი მყავს, ყველა იმას კოცნის.

(ფინჯანი)

მთქმელი მარო ესტატეს
ასული ბერიძე, 16 წლის, სოფელი
ერკოტა, ასპინძის რაიონი,
ჩაიწერა მ.კოჭლავაშვილმა
1965 წელს.
ეთსუ ფა N3950-3970

თორნიკე ბერიძე

მესხეთს

აქ ნიავიც კი ჩურჩულობს ჩუმად,
იასამანიც სხვაგვარად ყვავის,
პოეტურ ტრფობით მესხეთს
ვადარებ
უმწიკვლო, სუფთა, დაუმჭკნარ
ყვავილს.

გმირთ ნატერფალზე ვარდები
ხარობს,
ააყვავილა ცრემლებმა დედის,
მესხურ მიწაზე თაფლი სჩქეფს
წყაროდ,
სიმღერაც ისმის მშვიდობის
მტრედის.

ასპინძის პარკიც თაობას აღზრდის,
საშვილიშვილო ფასი აქვს ნერგის,
აღზრდის თაობას, ხვალის თაობას,
თაობას მსგავსი „მესხ
გუტენბერგის“.

გმირთა კვალდაკვალ

მათ ნატერფალზე კვალდაკვალ
დავალ,
ხმლის ხმა ჩამესმის ერეკლე მეფის,
მტკვარი დუდუნით ამბავს მიყვება
დიდი თამარის, მეფეთამეფის.

აქ კვლავ რუსთველის აკვანს
არწევენ,
ნაყოფი კვლავაც ღვივდება ერის,
ხერთვისის ციხე უცქერს ამაყად, –
„მრავალაჟამიერს“ ვარძია მღერის.

აქ თმოგვის ციხე წუნდის ტბას
უმზერს,
მომსწრეს და ტანჯულს მრავალი
წელის,
აქ შოთა ისევ დედოფალს ეტრფის
და სიყვარულის უგზავნის წერილს.

ასპინძის ცენტრში მეფე ერეკლე
კვარცხლბეკზე მდგარი „სტუმარს“
კვლავ ელის,
წუნდა ამშვენებს მესხეთს
სიმღერით,
ნაფიცარია ერის და ბერის.
აგვისტოს გმირიც მირაშხანში წევს,
სადღეგრძელოს ვსვამთ სამშობლოს
მცველის,
ჩვენც აქ ვართ, ძმებო! – აქეთ ხმა
ისმის,
საყუდაბელის, ორგორის, ძველის.

შორეთი შორით სალამს აგზავნის,
სუფრას კვლავ შლიან ტოლოშში
ლხენის,
აქ ჭობარეთი ანახლებს ოდებს,
ზეიმი არის ქართული გენის.

აქ ოშორულა დუდუნებს ნაზად,
ნეტავ ენახა ერეკლეს თვალით,
მეც ძლიერ მხიბლავს ფიქრი წყლის
პირას,
მწამს მათრობელა ბუნების
ძალის.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია